ხელშეკრულება

ქ.ბათუმი 20.01.2018წ.

ერთის მხრივ შპს „ახალი ბათუმი“ (ს/კ 445487081) იურიდიული მისამართი ბათუმიშ. ხიმშიაშვილის ქ., N 63-ბ, ბინა N19, მისი დირექტორის როლანდ გავრილოვ-ის (პ/ნ61826722779) სახით, შემდგომში „დამსაქმებლად“(იგივე სააგენტო) წოდებული და მეორეს მხრივ მარინა სარქისიან პ/ნ 33001055025, შემდგომში „დასაქმებულად“ წოდებული და ორივე „მხარეებად” წოდებული, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1. დამსაქმებელს აჰყავს თანამშრომელი აგენტ-სტაჟიორის თანამდებობაზე შ.პ.ს „ახალი ბათუმი“-ში, 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. 3 (სამი)თვიანი ვადის გასვლის შემდეგ , დამსაქმებელი ან დებს მასთან ხელშეკრულებას და გადაჰყავს ის აგენტის თანამდებობაზე ან წყვეტს თანამშრომლობის ხელშეკრულებას ცალმხრივად.

2. აგენტ-სტაჟიორის უფლებები და ვალდებულებები

აგენტი-სტაჟიორი ვალდებულია აწარმოოს საქმის წარმოება, ,,ახალი ბათუმი“-ში დადგენილი წესების თანახმად, კერძოდ კი:

1. გასაყიდი/გასაქირავებელი უძრავი ქონების დათვალიერებისას დარწმუნდეს იმაში, რომ გასაყიდად/გასაქირავებლად წარდგენილი უძრავი ქონების წარმდგენი ნამდვილად არის უძრავი ქონების მესაკუთრე, ან აქვს მესაკუთრისაგან გაცმული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომლის საფუძველზეც შეუძლია განკარგოს მოცემული უძრავი ქონება, ან მოცემული უძრავი ქონება ირიცხება რეესტრში, როგორც მშენებარე.

2. გასაყიდი/გასაქირავებელი უძრავი ქონების დათვალიერებისას დარწმუნდეს იმაში, რომ მოცემული უძრავი ქონება არ არის გირავნობის ან სასამართლო განხილვის საგანი, რომ უძრავი ქონება არაა დატვირთული იპოთეკით და ა.შ.

3. დროულად მოაწეროს ხელი თანამშრომლობის ხელშეკრულებას გამყიდველს/გამქირავებელსა და სააგენტოს შორის, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით. ყველა ხელშეკრულება აუცილებლობის წესის დაცვით ხელმოწერილ უნდა იყოს მხარეს მიერ, საწარმოს მიერ ბეჭდის არსებობის შემთხვეაში ხელშეკრულება უნდა იქნას ბეჭედდასმული.

4. აწარმოოს დათვალიერება, ფოტო-ვიდეო გადაღება, უძრავი ქონების აღწერა და შეავსოს დათვალიერების შესაბამისი ანკეტა.

5. უძრავი ქონების მყიდველის/დამქირავებლისათვის ჩვენებამდე ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას მყიდველსა/დამქირავებელსა და სააგენტოს შორის თანამშრომლობს შესახებ, სააგენტოს მიერ დადგენილ ფორმას.

6. შეადგინოს სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმის დათვალიერების აქტი, სადაც მყიდველი/დამქირავებელი ადასტურებს (აწერს ხელს, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში დასვამს ბეჭედს), რომ მოცემული უძრავი ქონება დათვალიერებულ იქნა ჩვენ სააგენტოს აგენტის მომსახურებით, წინარე თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად.

7. აწარმოოს უძრავი ქონებისა და კლიენტების ელექტრონული ბაზები, დროულად შეავსოს ისინი უძრავი ქონების, კლიენტების, შესრულებული ან შესრულებელი სამუშაოს შესახებ სრული ინფორმაციით.

8. შეავსოს სააგენტოს ბაზები კლიენტებითა და უძრავი ქონებით, კლიენტებისა და უძრავი ქონების მოძიების გზით, ქალაქის რაონების შემოვლისას, განცხადებების კითხვითა და კანონით სხვა ხელმისაწვდომი მეთოდებით. სრული პასუხისმგებლობა კლიენტების მოძიებაში მეთოდებით, თუ კი ასეთი ძიება განხორციელებულ იყო აგენტ-სტაჟიორის მიერ აწევს მხოლოდ მოცემულ აგენტ-სტაჟიორს.

9. აგენტი-სტაჟიორი ვალდებულია ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლითაც აგენტ-სტაჟიორს არ შეუძლია გადაწყვეტილებს მიღება მიმართოს სააგენტოს დირექტორს.

10. აგენტ-სტაჟიორს ეკრძალება ნებისმიერი ფულადი საშუალებების მიღება კლიენტებისაგან. ყველანაირი ანგარიშსწორება კანონის წესით ნდა განხორციელდეს დირექტორის თანდასწრებით.

11. აგენტი-სტაჟიორი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს სრული ინფორმაცია, რომელიც მიიღო სააგენტოში მუშაობისას. აკრძალულია კომერციული, პირადი ინფორმაციის, ინფორმაციის კლიენტებსა და ძრავ ქონებს შესახებ, ლოგინების, პაროლების, ტელეფონების ნომრების, მისამართების, რეესტრის მონაცემების და სხვა სახის ინფორმაცის გავრცელება სააგენტოში სტაჟირების პერიოდში. ნებისმიერი ორგანოსაგან, ორგანოებს თანამშრომლებისაგან დასმულ ზეპირ ან წერილობით კითხვებზე სტაჟიორი უნდა პასუხობდეს სააგენტოს დირექტორის სახლზე გადამისამართებით.

12. სააგენტოში სტაჟირების პერიოდში მიღებული სრული ინფორმაცია არის სააგენტოს საკუთრება.

13. აგენტი-სტაჟიორი აგებს პასუხს პირად, მათ შორის მატერიალურ პასუხისგებლობას სააგენტოს არასათანადო საქმის წარმოებაზე და სააგენტოს მიყენებულ ზიანზე სრული ოდენობით ან სააგენტოს მიერ ბოლომდე მიუღებელი მოგების.

14. მთლიანი მოგება, რომელიც იქნება მიღებული სააგენტოს მიერ დაქირავების ხელშეკრულების გაწყვეტის შემდეგ აგენტ-სტაჟიორთან ან აგენტ-სტაჟიორთან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ რჩება სააგენტოში. აგენტ-სტაჟიორს არა აქვს უფლება ჰქონდეს მოთხოვნა რაიმე სახის ბონუსებსა და პრემიალურებზე.

15. აგენტი-სტაჟიორი უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ამასთანავე ერთი კვირით ადრე შეატყობინოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ დამსაქმებელს. ხელშეკრულების შეწყვეტისას აგენტი-სტაჟიორი ვალდებულია დაუბრუნოს დამსაქმებელს სრული კომპლექტით ადრე გაცემულ მობილური ტელეფონი, ტელეფონის ნომერი (სიმ-ბარათი), ნოუთბუქი,

სავიზიტო ბარათები, სარეკლამო პროდუქცია და ა.შ. ან ანაზღაუროს დამქირავებელს სრული ღირებულება, ცვეთის ღირებულების გათვალისწინების გარშე, ყუთის ზედნადებების შესაბამისად.

3. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

3.1. სააგენტო ვალდბულია გაუწიოს აგენტ-სტაჟიორს სრული სავალდებული დახმარება, სააგენტოს საქმის წარმოების ათვისებაში, განუვითაროს მოლაპარაკებების წარმართვის, კლიენტების მოძიების, ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

3.2. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს აგენტი-სტაჟიორი:

1. სამუშაო ადგილით;
2. კომპიუტერით;
3. ტელეფონით;
4. ინტერნეტ-კავშირით;
5. რეკლამის შემცველი პოლიგრაფიული მასალით (საქაღალდეები, სავიზიტო ბარათები);
6. ქალაქის მინდობილ ტერიტორიის ფარგლებში, სამსახურეობრივი მიზნით გადაადგილებისას მეტროს/სამარშრუტო ტაქსის/ტაქსის საფასურის გადახდა;
7. სატელეფონო კავშირის ანაზღაურება;
8. სავალდებულო შეთანხმებული რეკლამის საფასურის გადახდა;
9. კლიენტებისა და უძრავი ქონების ბაზით;
10. მუდმივად შეავსოს უძრავი ქონების ბაზა.

3.3. სააგენტო ვალდებულია გადაუხადოს აგენტ-სტაჟიორს პრემიალური 20 % სააგენტოში აგენტ-სტაჟიორის მიერ მიღებული მოგებიდან, გასული თვის შედეგებით, ახალი თვის 5 დღის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კი უძრავ ქონება, რომელიც გააქირავა/გაყიდა აგენტმა-სტაჟიორმა დამატებული იყო არა მის მიერ პირადად, არამედ სააგენტოს სხვა თანამშრომლის მიერ ან სააგენტოს სხვა განყოფილების თანამშრომლის მიერ, მაშინ მოგება გამოითვლება 20 % გამოკლებით.

4.დავების გადაწყვეტა

ყველა დავა და უთანხმოება რეგულირდება მოლაპარაკების გზით. მხარეებს მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვეაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.დასკვნითი დებულებები.

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

5.2. ხელშეკრულების ვადაა 6 თვე, ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან.

დამსაქმებელი: /როლანდ გავრილოვ/

დასაქმებული: /მარინა სარქისიან/